MES 9 23 0000974568

08/08/2023

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 25.07.2023
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 18:45 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
სხდომის მდივანი: გურანდა ჭელიძე (I, II, IV, V, VI საკითხები)
სხდომის მდივანი: ქეთევან ქუთათელაძე (III საკითხი)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27[2] მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი -** შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით, პროფესორი **- საბჭოს თავმჯდომარე;**
2. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი -** სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი **- საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე**
3. **მარინე მაისურაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
4. **ერმილე მესხია** - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი
5. **ლევან ნიკოლეიშვილი** - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი;
6. **მარინა ქავთარაძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი;
7. **ქეთევან ქუთათელაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;

8. **მამუკა ხუსკივაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
9. **ნინო ბაქრაძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კამერული ანსამბლის და კვარტეტის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
10. **ირინე ებრალიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის ცენტრის ჯაზის ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
11. **თამარ ზარანდია** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;
12. **ქეთევან ზურაშვილი** - სსიპ - ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
13. **ხათუნა თოდაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი;
14. **ლაშა ჩხარტიშვილი** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
15. **თინათინ ჭაბუკიანი** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ტელევიზიის პროდიუსერი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
16. **გურანდა ჭელიძე** - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აფილირებული პროფესორი;

სხდომაზე დამსწრე პირები
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	თამთა ანთიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	თამარ აფრასიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
3	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
4	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1.	მაია გრძელიძე		საინჟინრო ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი	I, II
			საინჟინრო ტექნოლოგიური	

2.	ციცინო თურქაძე	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I, II
3.	მანანა ქარჩავა		სურსათის ტექნოლოგიის და უვნებლობის" პროგრამის ხელმძღვანელი	I, II
4.	ქეთევან კინწურაშვილი		აგრარული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I, II
5	რამაზ კილაძე		ლანდშაფტური არქიტექტურის პროგრამის ხელმძღვანელი	I, II
6	ნუგზარ სხირტლაძე	შპს - კავკასიის უნივერსიტეტი	ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში	III
7	ბორის ლეჟავა		ვიცე-პრეზიდენტი კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დარგში	III
8	დიანა მჭედლიშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი	III
9	ვარდო კოპალეიშვილი		კავკასიის ტურიზმის სკოლის დეკანი	III
10	გიორგი ბრეგაძე		პროგრამის ხელმძღვანელი	III
11	თორნიკე ფურცელაძე		პროგრამის ადმინისტრაციული დირექტორი	III
12	მაია მანჩხაშვილი		ასოცირებული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	IV

13	თორნიკე შურღულაია	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	IV
14	ზაია ჯაფარიძე		ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი კოორდინატორი	IV
15	მარი სილაგაძე		ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი კოორდინატორი	IV
16	ნუცა გრიგალაშვილი		ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი კოორდინატორი	IV
17	ირინე დარჩია		მრჩეველი ხარისხის უზრუნველყოფისა და ინსტიტუციური განვითარების მიმართულებით	IV
18	ანასტასია ზაქარიაძე		მრჩეველი ხარისხის უზრუნველყოფისა და ინსტიტუციური განვითარების მიმართულებით.	IV
19	დავით მახვილაძე		სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.	V
20	ხათუნა მხეიძე		სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე	V

21	ნუგზარ წერეთელი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანი	V
22	მაია მშვილდაძე		სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე	V
23	მამუკა მაისურაძე		სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	V
24	ზურაბ საბაშვილი		სტუ-ის „მეტალურგიის, მასალათმცოდნეობის და ლითონთა დამუშავების“ დეპარტამენტის უფროსი	V
25	ნიკოლოზ ლოლაძე		მასალათმცოდნეობის“ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	V
26	თათია დოლიძე	შპს - ევროპის უნივერსიტეტი	საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	VI
27	იოსებ კელენჯერიძე		სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი	VI
28	სოფიო ხუნდაძე		ვიცე-რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით	VI

აკრედიტაციის ექსპერტები:

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	დარიო კომპანიონე - Dario Compagnone	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ელენე სორდია	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ნინო ჯოჯუა	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	დიმიტრი ცანავა	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	ჟუჟა ხაჭაპურიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
6	გიორგი წანაწყენიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	ნინო ხაბეიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	დავით სიხარულიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
9	თამთა ცხოვრებაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III, IV
10	დავით ტეფნაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
11	თინათინ ქაროსანიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
12	ივანნა მაჩიტიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV, VI
13	სალომე ალანია	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
14	ავთანდილ თავხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
15	ომარ კიკვიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
16	ირაკლი გორგილაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VI

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სურსათის ტექნოლოგიის და უვნებლობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ლანდშაფტური არქიტექტურის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის "ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის "საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მასალათმცოდნეობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. შპს - ევროპის უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სურსათის ტექნოლოგიის და უვნებლობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ლანდშაფტური არქიტექტურის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის "ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის "საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მასალათმცოდნეობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. შპს - ევროპის უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

1. პირველი საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სურსათის ტექნოლოგიის და უვნებლობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სურსათის ტექნოლოგია და უვნებლობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII

9	კვალიფიკაციის დასახელება	სურსათის ტექნოლოგიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0721 სურსათის გადამუშავება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ახალგაზრდობის გამზ. №98, ქუთაისი, სასწავლო კორპუსი VIII, 4600, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2012 წლიდან 2019 წლამდე აკრედიტებულ რეჟიმში, ხოლო 2019 წლიდან დღემდე - ავტორიზებული რეჟიმში ფუნქციონირებდა „სურსათის ტექნოლოგიების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.
აკრედიტაციის ვიზიტი შედგა 2023 წლის 11 მაისს. გასაუბრება ჩატარდა დაწესებულების რექტორთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, ფაკულტეტის დეკანთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. ვიზიტის ფარგლებში ასევე განხორციელდა ლაბორატორიული რესურსების და ბიბლიოთეკის დათვალიერება. ვიზიტი გაიმართა კონსტრუქციულ გარემოში, სადაც ყველა მონაწილეს ჰქონდა თანამშრომლობითი დამოკიდებულება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ძირითადად პროგრამის სუსტი მხარე იყო სტრუქტურებთან კავშირი, თუმცა ნათელი იყო, რომ დაწესებულებას ჰქონდა გეგმა, თუ როგორ უნდა აღმოფხვრას არსებული სუსტი მხარეები. მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით ექსპერტებმა განსაზღვრეს რჩევები და რეკომენდაციები. აღსანიშნავია ასევე უკვე არსებული რესურსები, მაგალითად ბიბლიოთეკა, რომელშიც არის მრავალი საერთაშორისო გამოცემა, სახელმძღვანელო და ბაზა, თუმცა მისი გამოყენება სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მიერ აქტიურად არ ხდება.

სსიპ - აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება რეკომენდაციები დაეტოვებინა უცვლელად. არგუმენტირებულ პოზიციაში, დაწესებულება ითხოვდა განმარტებას კვლევის შედეგების გაზომვისა და მონიტორინგის საჭიროებასთან დაკავშირებით. უსდ-მ არგუმენტირებულ პოზიციაში მტკიცებულებებად დაასახელა ფაკულტეტზე არსებული დოკუმენტები, თუმცა აღნიშნული ვერ ადასტურებდა, რომ ხდებოდა კვლევის შედეგების (პუბლიკაციების რაოდენობა, ხარისხი, კვლევის გრანტები, პატენტები) მონიტორინგი. შესაბამისად, საჭიროა დამადასტურებელი ფაქტების წარმოდგენა ნებისმიერი სტრუქტურული ერთეულისათვის (ფაკულტეტი, დეპარტამენტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის). იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება ზემოთხსენებულ პროცესს ახორციელებს, მნიშვნელოვანია წარმოდგენილი იყოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები.

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სურსათის ტექნოლოგიის და უვნებლობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. შეიცვალოს კვლევითი აქტივობის შესაბამისი უნარები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VII დონესთან ჰარმონიზებით.
2. შეიცვალოს „ახალი პროდუქტების, მათ შორის სხვადასხვა ფუნქციონალური დანიშნულების პროდუქტების ტექნოლოგიების დამუშავება“ სწავლის შედეგები ან სილაბუსში დაემატოს შესაბამისი საკითხები.
3. საქართველოს კანონი სურსათის/საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის შესახებ (2012 წელი) - ერთმანეთისგან განასხვავებს ტერმინებს „სურსათი“ და „საკვები“. ზოგიერთ ქართულ სილაბუსში ეს ტერმინები ურთიერთმონაცვლეობით გამოიყენება - ხალხი იყენებს სურსათს და არა - კვების პროდუქტებს ან საკვებს, ამიტომ ჩამოთვლილი საგნებისთვის სწორი ტერმინი უნდა იყოს გამოყენებული :
    1. საკვები პროდუქტების კვლევის თანამედროვე მეთოდები - სურსათის კვლევის თანამედროვე მეთოდები;
    2. კვების საწარმოთა პროცესები და მოწყობილობები - სურსათის საწარმოთა პროცესები და მოწყობილობები;

3. კვების საწარმოთა დაგეგმარების პრინციპები -სურსათის საწარმოთა დაგეგმარების პრინციპები
4. კვების ქიმიის საკითხები - სურსათის ქიმიის საკითხები;
5. გარდა ამისა, სწორი ტერმინები უნდა იქნას გამოყენებული ყველა სილაბუსში (მათშიც, რომელიც ზემოთ არ არის ჩამოთვლილი).

5. უნდა შეიქმნას კვლევის შედეგების გაზომვისა და მონიტორინგის რეგულარული სისტემა.
6. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა რეგულარულად უნდა აკონტროლოს პროგრამის რესურსების ხელმისაწვდომობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ფუნქციონალური დანიშნულების პროდუქტების უმნიშვნელოვანეს მხარე - ადამიანის ორგანიზმზე ზემოქმედების ბიოლოგიურ ასპექტები - განიხილება დეპარტამენტის ბაზაზე ფუნქციონირებადი აკრედიტებული სადოქტორო პროგრამის ფარგლებში, სადაც დამოუკიდებელი სახითაა წარმოდგენილი სასწავლო კურსები: „ფუნქციონალური დანიშნულების პროდუქტების ტექნოლოგია“, „ფუნქციონალური ინგრედიენტების ტექნოლოგია“, „ფუნქციონალური დანიშნულების პროდუქტების ბიოლოგიური აქტივობის კვლევის მეთოდები“, „ფუნქციონალური დანიშნულების პროდუქტების კლინიკური კვლევის მეთოდები“. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების ანალიზის პროცესში ასევე დაფიქსირდა ფაქტი, რომ ფუნქციონალური დანიშნულების პროდუქტების ტექნოლოგიების შესასწავლად შესაბამისი სალექციო მასალა და ლაბორატორიული სამუშაოები გათვალისწინებულია ზემოთ ჩამოთვლილი სასწავლო კურსების მხოლოდ ნაწილში. დანარჩენ კურსებში ფუნქციონალური დანიშნულების პროდუქტების ტექნოლოგიების შესასწავლად სალექციო და ლაბორატორიული სამუშაოების თემატიკა გათვალისწინებული არ არის, ანუ აღნიშნული სასწავლო კურსის სილაბუსში ფუნქციონალური დანიშნულების პროდუქტების სწავლების შედეგები დაფიქსირებულია, ხოლო სალექციო და ლაბორატორიული სამუშაოების შესაბამისი თემატიკა კი - არა. აღნიშნული ტექნიკური ხარვეზი აუცილებლად იქნება გათვალისწინებული და გასწორებული შესაბამის დოკუმენტაციაში.

მემორანდუმებთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ დაწესებულების ყველა მემორანდუმს აქვს ვადა და ხელშეკრულებები ფორმდება საჭიროების მიხედვით, გამომდინარე აქედან ზოგიერთ ხელშეკრულებას შეიძლება გასდიოდა ვადა, თუმცა მემორანდუმების უმრავლესობა არის უვადო. პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებას გამოჩრა მემორანდუმების წარმოდგენა, ხოლო ექსპერტთა მიერ ვიზიტის დროს საკითხთან დაკავშირებით შეკითხვა არ გაჩენილა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ყურადღება გაამახვილა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, სადაც საუბარი იყო, რომ ტერმინი „საკვები პროდუქტი“ ჩანაცვლებულიყო ტერმინით „სურსათით“. დაწესებულება მიიჩნევს, რომ მოცემული რეკომენდაცია უნდა იყოს წარმოდგენილი რჩევის სახით. კლასიფიკატორში „0712 - სურსათის გადამუშავების“ აღწერაშია მოცემულია, „შეისწავლის საკვები პროდუქტებისა და სასმელების გადამუშავება/წარმოებასა და შეფუთვას, ასევე საკვები პროდუქტების წარმოებისა და დისტრიბუციისას გამოყენებულ მოწყობილობებსა და პროცედურებს“. შესაბამისად, თავად სურსათის გადამუშავება სფეროს ასახსნელად გამოიყენებს ტერმინს - საკვები პროდუქტი. ამ კუთხით, სურსათის გადამუშავება შეისწავლის საკვები პროდუქტის გადამუშავებას, შეფუთვასა და წარმოებას, ტერმინის სასწავლო პროგრამაში გამოყენება არ ცდება სასწავლო სფეროს არსს, შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს ამგვარად და არ არის ძირითადი ვალდებულება, რომ ეს ტერმინი იყოს ამოღებული. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულება

მზადაა აღნიშნული საკითხი რეკომენდაციის სახით გაითვალისწინოს და გაატაროს შესაბამისი ცვლილებები, უმჯობესია აღნიშნული განსაზღვრული იყოს რჩევის სახით, ვინაიდან როგორც აღინიშნა, არანაირი წინააღმდეგობა არ არის სფეროსთან მიმართებით. დაწესებულება ტერმინებს განიხილავს სინონიმების სახით და მიიჩნევს, რომ ზოგიერთ სასწავლო კურსში შესაძლებელია ცვლილების განხორციელება, თუმცა მოთხოვნა იმისა, რომ აღნიშნული ტერმინი შეცვლილი იყოს ყველა სასწავლო კურსში, არ არის რაციონალური.
საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა დასმული საკითხის ირგვლივ განმარტა, რომ საკანონმდებლო დონეზე ტერმინებს შორის არის განსხვავება. რეალურად არის ან სურსათი და სასურსათო პროდუქტი ან საკვები, რაც გამოიყენება ცხოველის საკვების სახით. მოცემულ შემთხვევაში, თუ დაწესებულებას არ სურს ტერმინი „სურსათის“ გამოყენება, შესაძლებელია აღნიშნული ჩანაცვლდეს „სასურსათო პროდუქტით“.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არ უნდა მოხდეს ტერმინოლოგიით შეზღუდვა როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე. დაწესებულება ეთანხმება, რომ პროგრამაში უნდა იყოს გამოყენებული ის დოკუმენტები, რაც მოცემულია სახელმწიფო დოკუმენტების სახით.
პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე ისაუბრა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის მომზადების პროცესში პროგრამის თვითშეფასების ჯგუფისა და განმახორციელებელი პერსონალის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ახალი პროდუქტების, მათ შორის სხვადასხვა ფუნქციონალური დანიშნულების პროდუქტების ტექნოლოგიების არა ცალკე დამოუკიდებელ საგნად სწავლების, არამედ მათ შესაბამის ტრადიციულ ტექნოლოგიებთან ერთად განხილვის შესახებ. მაგალითად, ფუნქციონალური დანიშნულების პურფუნთუშეული ნაწარმის ტექნოლოგიები განხილული ყოფილიყო ამავე სახის ნაწარმის ტრადიციულ ტექნოლოგიებთან ერთად, ფუნქციონალური დანიშნულების ხორცის პროდუქტების ტექნოლოგიები - ხორცის პროდუქტების ტრადიციულ ტექნოლოგიებთან ერთად და ა.შ. რასაც ადასტურებს ცალკეული პროდუქტების ტექნოლოგიების სილაბუსებში არსებულ ჩანაწერი - „ახდენს ახალი პროდუქტების, მათ შორის სხვადასხვა ფუნქციონალური დანიშნულების პროდუქტების ტექნოლოგიების დამუშავებას“. აღნიშნული გადაწყვეტილება განპირობებული იყო შემდეგი გარემოებით: - წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ფუნქციონალური დანიშნულების პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიურ ასპექტებზე, ამიტომ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მათი ტრადიციულ ტექნოლოგიებთან ერთად განხილვის შესახებ.
მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მოცემული რეკომენდაცია გაცემულია 4.2 კომპონენტის ფარგლებში. ამ კომპონენტის აღწერილობასა და შეფასების კრიტერიუმებში არ არის წარმოდგენილი მოთხოვნა კვლევის შედეგების გაზომვისა და მონიტორინგის რეგულარული სისტემის შესახებ. თანამშრომელთა მიერ კვლევითი იდეების მხარდაჭერისა და კვლევითი პროექტების დაფინანსების, მიზნით უნივერსიტეტში დანერგილია შიდა საგრანტო კონკურსების სისტემა. აკადემიური საბჭოს მიერ ასევე განსაზღვრულია მაღალრეიტინგულ ჟურნალებში პუბლიკაციების წახალისების სისტემა კერძოდ აკადემიური პერსონალის მიერ SCOPUS-ისა და WEB OF SCIENCE-ის ბაზების ჟურნალებში სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნების შემთხვევაში უნივერსიტეტი პერსონალს გამოუყოფს ფულად ჯილდოს. უნივერსიტეტი მიიჩნევს, რომ კვლევის შედეგების გაზომვისა და მონიტორინგის საუკეთესო სისტემა მაღალრეიტინგულ, რეფერირებად ჟურნალებში გაკეთებული პუბლიკაციებია. ეფერირებად ჟურნალებში პუბლიკაციების რაოდენობის გაზრდა კი, რომლის აუცილებელი წინაპირობა კვლევის შედეგების გაუმჯობესება და ხარისხის ამაღლებაა, პირდაპირ კავშირშია კვლევითი ლაბორატორიული ბაზის სრულყოფასა და გაძლიერებასთან. ამ მიმართულებით სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში

მიმდინარეობს მუდმივი მუშაობა. ასევე მუდმივი ზრუნვა მიმდინარეობს არასაუნივერსიტეტო დაფინანსებების მოსაპოვებლად კვლევითი-ლაბორატორიული ბაზის სრულყოფისათვის. აღნიშნული ღონისძიებები ხელს შეუწყობს კვლევის შედეგების გაუმჯობესებასა და ხარისხის ამაღლებას და რეფერირებად ჟურნალებში პუბლიკაციების რაოდენობის გაზრდას. თუმცა, დაწესებულების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ მოცემული რეკომენდაცია ექსპერტთა მხრიდან მოითხოვს დაზუსტებას და ნათლად წარმოდგენას ჩარჩოსა და მოცემული კომპონენტის მოთხოვნების გათვალისწინებით. ამასთან, წარმოდგენილი 18 პერსონალიდან, რომელიც ახორციელებს პროგრამას, 12 არის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი, რომლებსაც არა ერთი კვლევა აქვთ გამოქვეყნებული მაღალრეიტინგულ ჟურნალებში.
რაც შეეხება მე-5 რეკომენდაციას, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის მიხედვით განსაზღვრული მექანიზმები, მოიცავს პროგრამების რესურსების ხელმისაწვდომობის მონიტორინგს და კონტროლს, რაც გამოიყენება მოცემული პროგრამის შემთხვევაშიც. სააკრედიტაციოდ წარდგენილი პროგრამის რესურსების ხელმისაწვდომობა ასევე შეფასებულია აკრედიტაციის სტანდარტებთან პროგრამის თვითშეფასების გზით. აღნიშნულ საკითხზე დაწესებულება ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პაკეტში წარმოდგენილია ხელშეკრულებები, რომელიც დადებულია 22 სხვადასხვა ორგანიზაციასთან. ამ ორგანიზაციებთან უნივერსიტეტს დადებული აქვს როგორც თანამშრომლობის მემორანდუმები, ასევე მათ საფუძველზე შედგენილი პრაქტიკის ხელშეკრულებები (გარკვეული ვადებით). ამავე ბაზებთან გაფორმებული მემორანდუმებიდან არც ერთს არა აქვს ვადა გასული, მემორანდუმების ნაწილი უვადოა. აკრედიტაციის ვიზიტის დროს მხოლოდ 4 ხელშეკრულება იყო ვადაგასული, რომლებიც სააკრედიტაციო პაკეტის მომზადების პერიოდში მოქმედი იყო. დაწესებულება 2019 წლიდან პროგრამას ახორციელებს ავტორიზებულ რეჟიმში, ხოლო პროგრამის სააკრედიტაციო პაკეტი მომზადდა 2022 წლის ბოლოს და წარდგენილი თვითშეფასება დათარიღებულია 20.01.2023-ით. იმ დროისათვის წარმოდგენილი ოთხივე ვადაგასული ხელშეკრულება განახლებულია, მაგრამ რადგან ექსპერტებს ეს დოკუმენტაცია არ მოუთხოვიათ, დაწესებულებას მათთვის არ წარუდგენია შესაბამისი განახლებული ხელშეკრულებები. ასევე, წარმოდგენილი მონაცემები ადასტურებს, რომ დღევანდელი დღის მდგომარეობით და ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროსაც, წარდგენილი 22 ხელშეკრულებიდან მოქმედების ვადა გააჩნია 18 ხელშეკრულებას, რაც სავსებით საკმარისია სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა პრაქტიკის უზრუნველსაყოფად. ამ ხელშეკრულებებიდან 2023 წლის სექტემბერში ვადა გაუვა 11 ხელშეკრულებას და დაწესებულება განაახლებს მათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ქუთათელაძემ აღნიშნა, რომ კურიკულუმი მოიცავს სასწავლო კურსს ,,კვლევითი პროექტი", რომელიც გათვალისწინებულია მე-3 სემესტრში, სავალდებულოა და არის 5 კრედიტიანი დისციპლინა. სასწავლო კურსი მთავრდება წერითი ნაშრომის გაფორმებით, რომელიც ფასდება. საბჭოს წევრმა სთხოვა ინსტიტუციას დაეზუსტებინათ ამ სასწავლო კურსის შედეგად შექმნილი წერითი ნაშრომი არის თუ არა სამაგისტრო ნაშრომის ნაწილი. საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ წარმოდგენილ ხელშეკრულებებში არ იყო მითითებული სტუდენტთა რაოდენობები და მოუწოდა დაწესებულებას განემარტა აღნიშნული საკითხები.
პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ აღნიშნული კვლევითი ნაშრომი არის სამაგისტრო ნაშრომის ნაწილი, პრერეკვიზიტის სახით. მოცემული კურსი გადმოღებული იქნა ანალოგი პროგრამიდან, კერძოდ კაუნასის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის შესაბამისი სამაგისტრო პროგრამიდან. წერით დავალებაზე მუშაობისას სტუდენტი იკვლევს იმ საკითხებს, რაც შეიძლება დასჭირდეს სამაგისტრო ნაშრომისთვის. პირველი სემესტრიდან დაწყებული, სტუდენტი კვლევითი პროექტითა და პრაქტიკის მეშვეობით ფაქტიურად მუშაობს სამაგისტრო ნაშრომზე. რაც შეეხება სტუდენტთა რაოდენობის მითითებას მემორანდუმებში, არ არის აღნიშნული, ვინაიდან სამაგისტრო საფეხურზე ძირითადად არის 10 სტუდენტი და ისინიც

სხვადასხვა მიმართულებების მიხედვით იყოფიან, შესაბამისად თითო ობიექტზე შეიძლება მოხვდეს 2-3 ადამიანი.
საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა დააზუსტა ხომ არ არის გადაფარვა სასწავლო კურსებს ,,კვლევის მეთოდებსა" და ,,საკვები პროდუქტების თანამედროვე კვლევის მეთოდებს შორის".
პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ,,კვლევის მეთოდები" არის ზოგადი სასწავლო კურსი, რომელიც სწავლობს ყველა კვლევის მეთოდს. ხოლო მეორე სასწავლო კურსი მეტად სპეციფიურია, სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის დროს სტუდენტი იყენებს ორივე კვლევის მეთოდს.
საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ აღნიშნა პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ და განმარტა, რომ პროგრამის მიხედვით მიღება ხდება ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირისა, მაგრამ თვითშეფასებაში მოცემულია ჩანაწერი, რომ წინაპირობა ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას. პროგრამაში კი არ არის მითითებული თუ რომელი კვალიფიკაციის მქონე ბაკალავრების მიღება არის შესაძლებელი პროგრამის ფარგლებში და სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს საკითხის დაზუსტება.
პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ პროგრამაზე ჩარიცხვა შეუძლია ნებისმიერ ხარისხის მქონე სტუდენტს, რადგან სამაგისტრო საფეხური სურვილის შემთხვევაში არის სპეციალობის გამოცვლის შესაძლებლობა. რაც შეეხება შესაბამის კომპეტენციებს, დაწესებულება აღნიშნულს უზრუნველყოფს სპეციალობის გამოცდით.
საბჭოს წევრმა, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა აღნიშნა 1.4 კომპონენტთან დაკავშირებული რჩევები, რომლებიც ერთი მხრივ ეხება ფუნდამენტური ზოგადი საგნების დამატებას. შესაბამისად, საბჭოს წევრმა მოუწოდა ექსპერტებს დაეზუსტებინათ თუ რომელ ფუნდამენტურ საგნებზეა საუბარი და თუ ეს სასწავლო კურსების ფუნდამენტურია, რატომ განისაზღვრა საკითხი რჩევის სახით. ამავე კომპონენტში არის რჩევა სურსათის უსაფრთხოების მართვის აუდიტის შესახებ, რაც აუცილებელი მოთხოვნაა. ამასთან მითითებულია სურსათი კანონმდებლობისა და რეგულაციების მოდულის დამატება. გამომდინარე აქედან საბჭოს წევრმა მოუწოდა ექსპერტებს საკითხის განმარტებისკენ.
საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა 2.1 კომპონენტში არსებული რჩევა რუსულენოვან ლიტერატურასთან დაკავშირებით და დააზუსტა თუ რამდენად წარმოადგენს აღნიშნული რჩევას და არა რეკომენდაციას.
ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სტრუქტურა იყო ზოგადი. რჩევა გამომდინარეობდა იქიდან, რომ სტუდენტები, რომლებიც სწავლობდნენ მოცემულ საკითხებზე უფრო გარკვეულები არიან ყველაფერში, თუმცა ექსპერტები ფიქრობენ, რომ უმჯობესია მეტი ფუნდამენტური სასწავლო კურსის დამატება. საკითხი რჩევად განისაზღვრა ასევე იმიტომ, რომ შედეგებში არსად არ იყო განსაზღვრული, რომ სტუდენტი ჩაატარებდა აუდიტს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ კომპონენტების გარეშე პროგრამა მისანიჭებელ კვალიფიკაციაზე გადის.
რაც შეეხება რუსულენოვან ლიტერატურას, გამომდინარე იქიდან, რომ კვლევის დროს ლიტერატურის ენის არჩევა ინდივიდუალურია, საკითხი განისაზღვრა რჩევის სახით, რათა მკაცრად არ ყოფილიყო აღნიშნული მოთხოვნილი.
საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, პროგრამა ორიენტირებულია სურსათის ტექნოლოგიისა და უვნებლობის ფართო პროფილის მაღალკვალიფიციური კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადებაზე, მან ასევე, აღნიშნა, რომ ძირითად ლიტერატურაში მოცემულია ინგლისურენოვანი ლიტერატურა, ხოლო დაშვების წინაპირობაში მოთხოვნილია ინგლისური ენის B1 დონე ცოდნა, შესაბამისად რამდენად დაძლევადია სტუდენტისთვის უცხოენოვანი ლიტერატურა.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამის კონფიგურაციაში გათვალისწინებულია დარგობრივი უცხო ენა. შესაბამისად მიღება ხდება B1 დონის

ინგლისურით, მაგრამ მოცემული სასწავლო კურსის გავლის შემდეგ სტუდენტები თავისუფლად შეძლებენ ინგლისურენოვანი ლიტერატურის ათვისებას.
ექსპერტმა განმარტა, რომ პროგრამა უფრო ორიენტირებულია იმაზე, რომ მისმა კურსდამთავრებულმა შეძლოს სურსათის უვნებლობის სტანდარტების დანერგვა და შემდეგ უკვე ამის კონტროლი. სურსათის უვნებლობის სპეციალისტს არ მოეთხოვება მენეჯერულ დონეზე პროცესების მართვა, რომელიც საჭიროა აუდიტის შემთხვევაში.
საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ აღნიშნა, რომ დარგობრივი ინგლისური 2 არის არჩევით სასწავლო ბლოკში, შესაბამისად, თუ სტუდენტი არ აირჩევს მოცემულ საგანს, მიღებული ცოდნა რამდენად არის საკმარისი სამაგისტრო ნაშრომის შესასრულებლად.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მიღება ხდება B1 დონის ინგლისურით, შესაბამისად, შემდგომ ხდება დარგობრივი ენა 1-ის შესწავლა, ხოლო თუკი სტუდენტი მიიჩნევს, რომ ამ კუთხით კიდევ სჭირდება შესაბამისი კომპეტენციები შეუძლია აირჩიოს დამატებითი კურსი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15:23
დასრულების დრო: 15:50

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება. კერძოდ, 2.1 და 2.2 კომპონენტები ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, რის შედეგადაც მეორე სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სურსათის ტექნოლოგიის და უვნებლობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით, 2025 წლის 31 დეკემბრამდე, 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სურსათის ტექნოლოგიის და უვნებლობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2025 წლის 31 დეკემბრამდე, 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

დაწესებულებასშესასრულებლადგანესაზღვრაშემდეგირჩევები და რეკომენაციები.
რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია შეიცვალოს კვლევითი აქტივობის შესაბამისი უნარები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VII დონესთან ჰარმონიზებით.
- რეკომენდებულია შეიცვალოს „ახალი პროდუქტების, მათ შორის სხვადასხვა ფუნქციონალური დანიშნულების პროდუქტების ტექნოლოგიების დამუშავება“ სწავლის შედეგები ან სილაბუსში დაემატოს შესაბამისი საკითხები.
- საქართველოს კანონი სურსათის/საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის შესახებ (2012 წელი) - ერთმანეთისგან განასხვავებს ტერმინებს „სურსათი“და „საკვები“. ზოგიერთ ქართლ სილაბუსში ეს ტერმინები ურთიერთ მონაცვლეობით გამოიყენება - ხალხი იყენებს სურსათს და არა - კვების პროდუქტებს ან საკვებს, ამიტომ ჩამოთვლილი საგნებისთვის სწორი ტერმინი უნდა იყოს გამოყენებული:
    - საკვები პროდუქტების კვლევის თანამედროვე მეთოდები - სურსათის კვლევის თანამედროვე მეთოდები;
    - კვების საწარმოთა პროცესები და მოწყობილობები - სურსათის საწარმოთა პროცესები და მოწყობილობები;
    - კვების საწარმოთა დაგეგმარების პრინციპები -სურსათის საწარმოთა დაგეგმარების პრინციპები;
    - კვების ქიმიის საკითხები - სურსათის ქიმიის საკითხები;
    - გარდაამისა, სწორი ტერმინები უნდა იქნას გამოყენებული ყველა სილაბუსში (მათშიც, რომელიც ზემოთ არ არის ჩამოთვლილი);
- რეკომენდებულია გადაიხედოს დაშვების წინაპირობებს ინგლისური ენის ცოდნის დონის კუთხით და პროგრამის შინაარსის შესაბამისად განისაზღვროს შესაბამისი დონე;
- რეკომენდებულია პრაქტიკის ხელშეკრულებებში განისაზღვროს სტუდენტთა რაოდენობები;
- რეკომენდებულია, შეიქმნას კვლევის შედეგების რეგულარული გაზომვისა და მონიტორინგის სისტემა;
- რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა რეგულარულად რესურსების ხელმისაწვდომობა;
- რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამაში გადაიხედოს კვლევითი პროექტის სასწავლო კურსის და სამაგისტრო ნაშრომის შინაარსობრივი გადაფარვები და შეფასება შესაბამისობაში მოვიდეს მინისტრის №3 ბრძანებასთან;

რჩევები:

- მიზანი: მართავს სასურსათო პროდუქტების ტრადიციულ ტექნოლოგიებს (ხორცი, რძე, პურფუნთუშეული და საკონდიტრო ნაწარმი, სასმელები) დამოუკიდებლად, მაღალპროფესიულ დონეზე, ან ახდენს მათ მოდერნიზაციას კვების ჯანსაღი პრინციპების გათვალისწინებით, დარგის უახლესი მიღწევების შესაბამისად; ხორცი, რძე, პურფუნთუშეული და საკონდიტრო ნაწარმი, სასმელები; სასურველია წინადადების ხელახალი ფორმულირება, ვინაიდან აღნიშნულ კომპეტენციებს აყალიბებს არჩევითი საგნები და თითოეული სტუდენტი ვერ აითვისებს ყველა მათგანს (ხორცი, რძე, პრფუნთუშეული და საკონდიტრო ნაწარმი, სასმელები);
- სასურველია უფრო ფუნდამენტური ზოგადი საგნების ჩასმა ერთ მოდულში, მათ შორის ყოვლისმომცველი გაგება თერმული და არათერმული პროცესების;
- სასურველია სურსათის უსაფრთხოების მართვისა და აუდიტის საგნების ჩასმა;
- სურსათის კანონმდებლობისა და რეგულაციების მოდულის ჩასმა;

- სასურველია მეტი ინგლისური ლიტერატურის დამატება (პროგრამა ითვალისწინებს ინტერნაციონალიზაციას, შესაბამისად პროგრამის განვითარებისთვის კარგი იქნება მეტი უცხოენოვანი ლიტერატურის, სამეცნიერო სტატიების გამოყენება);
- სასურველია სტერილიზაციის, პასტერიზაციის, UHT-ის და ასეპტიკური შევსების ჩასმა საგანში „სასურსათო წარმოების პროცესები და თანამედროვე აღჭურვილობა“ და ასევე სასურველია დაინერგოს პრაქტიკუმი გაშრობის კინეტიკაზე;
- სასურველია დაზუსტდეს, რა სახის ინდიკატორები (ხარისხი და უსაფრთხოება) გაიზომება სურსათის ქიმიის საგანში ლაბორატორიული სამუშაოების დროს;
- სასურველია პრაქტიკული ლექციების ჩასმა კურსში „კვების პროდუქტების კვლევის თანამედროვე მეთოდები“ და ასევე შეიცვალოს ეს სახელწოდება, ისე რომ ამოღებულ იქნას სიტყვა „თანამედროვე“;
- სასურველია რუსულენოვანი ლიტერატურა შეიზღუდოს და დაშვებული იყოს, სამაგისტრო ნაშრომის ბიბლიოგრაფიაში, იქ სადაც აუცილებელია;
- სასურველია სტუდენტების ჩართულობა სხვადასხვა ტიპის სამეცნიერო აქტივობებში (მაგალითად, კონფერენციებში და დისემინაციის აქტივობებში);
- სასურველია, უსდ-მ წაახალისოს საერთაშორისო მონაცემთა ბაზების გამოყენება სამაგისტრო ნაშრომის წერისას (ეხება ასევე 2.1-ს, წინაპირობებისთვის);
- სასურველია კვლევითი ნაშრომები გამოქვეყნდეს საერთაშორისო დონეზე აღიარებულ ჟურნალებში;
- სასურველია მუდმივად განახლდეს და შეიცვალოს პროფესიული განვითარებისა და კვლევაზე დაფუძნებული ეტაპებისთვის გაფორმებული შეთანხმებები.

2. მეორე საკითხი : სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი „ლანდშაფტური არქიტექტურის“ სამაგისტრო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ლანდშაფტური არქიტექტურა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №90; 01.04.2019 წ
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ლანდშაფტური არქიტექტურის მაგისტრი

10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	არქიტექტურა და ქალაქდაგეგმარება 0731
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ახალგაზდობის გამზ. №98, ქუთაისი, 4600, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა, გიორგი წანაწყენაშვილმა აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 30 მაისის ბრძანებით „შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელსაც დაევალა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ცენტრში 2023 წლის 16 მაისის წერილით წარმოდგენილი "ლანდშაფტური არქიტექტურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 17 მარტის სხდომის ოქმის საფუძველზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების ფარგლებში, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის შედგენა. მონიტორინგის შედეგად დადგინდა სრული შესაბამისობა სტანდარტებთან.
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი „ლანდშაფტური არქიტექტურის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული შეფასებისთვის.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15:56
დასრულების დრო: 16:00

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი „ლანდშაფტური არქიტექტურის“ სამაგისტრო პროგრამაზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 - ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი „ლანდშაფტური არქიტექტურის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.
საბჭომ მიიჩნია, რომ „ლანდშაფტური არქიტექტურის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

16:17- საბჭოს სხდომას შეუერთდა თამარ ზარანდია

3. მესამე საკითხი: შპს - კავკასიის უნივერსიტეტის "ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი Tourism and Hospitality Management
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	მასპინძლობის მენეჯმენტის მაგისტრი Master of Hospitality Management
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	1015 - მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	პაატა სააკაძის ქ. N1, თბილისი, 0102, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

თვითაცილება განაცხადა- გურანდა ჭელიძემ, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა, ქეთევან ზურაშვილმა, მარინე მაისურაძემ და ლაშა ჩხარტიშვილმა.
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა

დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის წერილობითი პოზიცია, სადაც იგი განმარტავდა, რომ „ამ წერილით ექსპერტთა გუნდის სახელით მინდა გამოვთქვათ პოზიცია შპს კავკასიის უნივერსიტეტში ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის შეფასებასთან დაკავშირებით. ვიზიტი შედგა 2023 წლის 23 მაისს. ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა აკმაყოფილებს აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო ერთი რეკომენდაცია და შვიდი რჩევა, უფრო კონკრეტულად რეკომენდაცია მდგომარეობდა შემდეგში:
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. პროგრამის მდგრადი განხორციელების მიზნით, რეკომენდებულია აფილირებული პერსონალის რაოდენობის გაზრდა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რჩევები:

1. მოგზაურობის, ტურიზმისა და დასვენების სფეროში კვლევებისა და პუბლიკაციების გაძლიერება.
2. მკვლევარ კოლეგებთან ერთად, ორგანიზაციის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ, აქტიური მონაწილეობა კვლევით საქმიანობაში, მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნება.
3. სასწავლო პროგრამის განვითარების მიზნით, შეიძლება ისეთი სქემის შექმნა, რომელიც უფრო მეტ მაგისტრანტს მისცემს საშუალებას ჩაერთონ კვლევით საქმიანობაში, უნივერსიტეტის სასწავლო პერსონალთან ერთად.
4. სასურველია, დაიგეგმოს და მოტივაცია მიეცეს პერსონალს, რომ აქტიურად იმუშაონ კვლევებზე მოგზაურობის, ტურიზმისა და დასვენების სფეროს მიმართულებით, რათა შეიქმნას შესაბამისი სამეცნიერო ნაშრომები და შესაძლებელი იყოს კვლევაზე დაფუძნებული საერთაშორისო თანამშრომლობის განხორციელება.
5. სამომავლოდ, პროგრამის განვითარების მიზნით, სასურველია ტურიზმისა და მასპინძლობის ლაბორატორიის შექმნაზე დაფიქრება, რაც შეიძლება სასარგებლო იყოს ტურიზმისა და მასპინძლობის სტარტაპების, ტურიზმის კვლევის, სექტორში ტექნოლოგიების გამოყენების ხელშეწყობისთვის.
6. სასურველია გათვალისწინებულ იქნეს აკადემიური პერსონალის სამოტივაციო სისტემა, რომელიც გაზრდის სამეცნიერო პროდუქტიულობას მოგზაურობის, ტურიზმისა და დასვენების სფეროში“.

შპს კავკასიის უნივერსიტეტის "ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ დაწესებულება სრულიად იზიარებს ექსპერტთა რეკომენდაციას და ამ კუთხით სხვა პროგრამებთან მიმართებითაც საგრძნობლად გაიზარდა აფილირებულ პროფესორთა რაოდენობა, რაც ბუნებრივია გათვალისწინებული იქნა მოცემულ პროგრამასთან მიმართებითაც.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
საბჭოს წევრმა, მამუკა ხუსკივაძემ აღნიშნა, რომ ტურიზმის დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით, კურსდამთავრებული ახდენს ღრმა და სისტემური ცოდნის დემონსტრირებას ტურიზმის კონკრეტულ სექტორებთან დაკავშირებული ბიზნეს რეგულაციების შესახებ. შესაბამისად, საბჭოს წევრმა დააზუსტა არის თუ არა აღნიშნული საკითხი გათვალისწინებული პროგრამის სწავლის შედეგებში და რომელი სასწავლო კურსების მეშვეობით ხდება გასვლა აღნიშნულ შედეგზე. გარდა ამისა, დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით, კურსდამთავრებულმა უნდა შეძლოს საერთაშორისო და ადგილობრივი ტურიზმის დინამიკის განხილვა. გამომდინარე აქედან საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ როგორ ხდება ამ შედეგზე გასვლა, როდესაც ტურიზმის პოლიტიკა წარმოდგენილია არჩევითი სასწავლი კურსის სახით. საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა პრაქტიკის სილაბუსი, რომელიც მოიცავს სასტუმროს სექტორის საკითხებს და დააზუსტა ხომ არ ხდება ამით პრაქტიკის არეალის შეზღუდვა, ვინაიდან საკითხები არის წინასწარ გაწერილი. ამასთან, პროგრამაში არც ერთ სასწავლო კურსში არ არის მოცემული სასტუმროს სექტორი, ხოლო პრაქტიკაში გათვალისწინებულია.
საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა ,,დანიშნულების ადგილების მენეჯმენტის" სასწავლო კურსი და განმარტა, რომ ძირითად ლიტერატურად მითითებულია 2011 და 2012 წლის სახელმძღვანელოები, შესაბამისად უმჯობესია სასწავლო კურსების უახლესი ლიტერატურით განახლება. საბჭოს წევრმა აღნიშნა ისიც, რომ სამაგისტრო პროგრამაში მეორდება საბაკალავრო პროგრამაში არსებული საგნები. ოთხი საგანი პირდაპირ იდენტური დასახელებით არის წარმოდგენილი: ,,ტურიზმის ეკონომიკა", ,,კვლევის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მეთოდები", ,,ტურიზმის მდგრადი განვითარება" და ,,ტურიზმის პოლიტიკა". ასევე მოცემულია ოთხი საგანი ოდნავ კორექტირებული სახელწოდებით.
საბჭოს წევრმა, ერმილე მესხიამ აღნიშნა, რომ სწავლის შედეგებში არ ჩანს, რომ კურსდამთავრებული შემდგომი სწავლის გაგრძელების აუცილებლობას გეგმავს, თუმცა აღნიშნული ზოგადად პროგრამაში მოცემულია. ამასთან, დარგობრივი მახასიათებელი ასევე მოიცავს სამართლებრივ რეგულაციებსა და კვლევითი ნაშრომის შექმნას, შესაბამისად, მნიშვნელოვანია მოცემული საკითხები დაფარული იყოს გარკვეულ სასწავლო კურსებში. გარდა ამისა, ზოგიერთ სასწავლო კურსში, მაგალითად როგორიცაა ,,სათავგადასავლო ტურიზმის ოპერაციები", ,,ტურისტული ადგილების გეოგრაფია", ,,ტურიზმის მდგრადი განვითარება", ,,დანიშნულების ადგილების მენეჯმენტის პრინციპები", მიზანი არ შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის საფეხურს, ვინაიდან საბაზისო ცოდნა არ არის შესაფერისი სამაგისტრო საფეხურისთვის.

საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით პროგრამა ზღუდავს მაგისტრანტებს და პირდაპირ ავალდებულებს, რომ სამაგისტრო ნაშრომი გააკეთონ სამთო ტურიზმზე, შესაბამისად, საბჭოს წევრმა იკითხა თუ რით არის აღნიშნული განპირობებული. ამასთან, სამაგისტრო ნაშრომში მითითებულია, რომ სტუდენტს ნაშრომის აღებამდე დაგროვებული უნდა ჰქონდეს 87 კრედიტი, ხოლო დებულებაში მოცემულია, რომ ნაშრომზე რეგისტრაციისათვის სტუდენტს უნდა ჰქონდეს 90 კრედიტი. ამასთან, პრაქტიკის სასწავლო კურსის მე-3 და მე-4 შედეგი იმეორებს ერთმანეთს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შემუშავების დროს ადგილი არ აქვს რაიმე საკითხის დუბლირებას, სრულიად ცალ-ცალკე არის თითოეული შემუშავებული. სასწავლო კურსის შინაარსიც სრულიად განსხვავებულია და განსაზღვრულია განსხვავებული საკითხები. რაც შეეხება ლიტერატურას, სრულიად ყველა ლიტერატურა არის განახლებული და მითითებულია კონკრეტული ავტორების ბოლო გამოშვებები.

უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე საკითხები და პოლიტიკა სრულიად დაფარულია კვლევის ხარისხობრივ და რაოდენობრივ მეთოდებში და შესაბამისად, სრულიად შესაძლებელია შედეგზე გასვლა. დაწესებულებამ გაიარა კონსულტაციები დარგის ექსპერტებთან რათა ამ მიმართულებით რამე შეუსაბამობა და პრობლემა არ ყოფილიყო, შესაბამისად, ყველა ექსპერტმა აღიარა, რომ პროგრამა იყო დარგობრივ მახასიათებლებთან შესაბამისობაში.

რაც შეეხება პრაქტიკას, პირველივე სემესტრიდან ისწავლება მასპინძლობისა და სასტუმროს მართვის სასწავლო კურსი, რაც სრულიად სასტუმროს მართვაზეა ორიენტირებული, ასევე არის ,,გამოყენებითი შემოსავლიანობის მენეჯმენტი", რომელიც ასევე სასტუმროს თემატიკას ეხება, ამას ემატება ასევე ,,ადამიანური რესურსების კრიტიკული პრობლემები მასპინძლობის ინდუსტრიაში". ფაქტიურად პროგრამა უფრო მეტად სასტუმროზეა ორიენტირებულია და პრაქტიკაც რელევანტურად არის განსაზღვრული.

პროგრამის ხელმძღვანელმა სამაგისტრო ნაშრომის თემატიკასთან დაკავშირებით განმარტა, რომ სამთო ტურიზმის მითითება პროგრამაში წარმოადგენს ტექნიკურ ხარვეზს რაც აუცილებლად იქნება გამოსწორებული.

რაც შეეხება პრაქტიკის კურსის შედეგებს, დაწესებულება აუცილებლად გადახედავს და დააზუსტებს არის თუ არა მსგავსება მე-3 და მე-4 შედეგებს შორის. სწავლის გაგრძელებასთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ საკითხი მოცემულია პროგრამაში, თუმცა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას თუ რამდენად არის სავალდებულო მისი სწავლის შედეგებშიც განსაზღვრა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებული სხვა საკითხების გადაფარვა პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა საგნების მეშვეობით ხდება, განსაკუთრებით იმ პირობებში, რომ ხდება ახალი კანონის შემუშავება. რაც შეეხება სასწავლო კურსებში საბაზისო ცოდნის მითითებას, მოცემული ასევე წარმოადგენს ტექნიკურ ხარვეზს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რეგულაციის მიხედვით აუცილებელია 90 კრედიტის ქონა, რათა სტუდენტი გადავიდეს კვლევით კომპონენტზე, თუმცა სილაბუსში არის შესაძლებლობა ერთი საგანი პარალელურ რეჟიმში ისწავლებოდეს, რომელიც არ არის სავალდებულო სასწავლო კურსი და არ არის ბმაში კვლევით თემასთან.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:55
დასრულების დრო: 17:16

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში მოცემული შეფასება. კერძოდ, 1.4 კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებას არ გამოუწვევია პირველი სტანდარტის შეფასების ცვლილება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს კავკასიის უნივერსიტეტის "ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით, 2030 წლის 01 ივლისამდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის "ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2030 წლის 01 ივლისამდე.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რჩევები და რეკომენდაციები.
რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, რომ საგანმანთლებლო პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულ იქნას სასწავლო კურსები სამართლებრივი რეგულაციებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებზე;
- პროგრამის მდგრადი განხორციელების მიზნით, რეკომენდებულია აფილირებული პერსონალის რაოდენობის გაზრდა.

რჩევები:

- სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში (არჩევით ნაწილში) გათვალისწინებულ იქნას საქართველოს კულტურის ისტორიასთან ან საქართველოს ტურისტულ რესურსებთან დაკავშირებული სასწავლო კურსი;
- სასურველია, რომ სასწავლო კურსების: „სათავგადასავლო ტურიზმის ოპერაციები და მენეჯმენტი“; „ტურისტული ადგილების გეოგრაფია“; „ტურიზმის მდგრადი განვითარება“; „დანიშნულების ადგილის მენეჯმენტის პრინციპები“; „ღონისძიებების ადმინისტრირება“ მიზანი შესაბამისობაში მოვიდეს უმაღლესი განათლების მაგისტრატურის საფეხურთან;
- გასწორდეს პრაქტიკის სასწავლო კურსის მესამე და მეოთხე შედეგი;
- სასურველია უფრო მეტ პრაქტიკოს ობიექტთან გაფორმდეს პრაქტიკის განხორციელების მიზნით მემორენდუმები;

- სასურველია, რომ „სამაგისტრო ნაშრომის“ სილაბუსის მიზანი შესაბამისობაში მოვიდეს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან;
- სასურველია მოგზაურობის, ტურიზმისა და დასვენების სფეროში კვლევებისა და პუბლიკაციების გაძლიერება;
- სასურველია უფრო მეტ მკვლევარ კოლეგებთან ერთად, ორგანიზაციის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ, აქტიური მონაწილეობა კვლევით საქმიანობაში, მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნება;
- სასწავლო პროგრამის განვითარების მიზნით, შეიძლება ისეთი სქემის შექმნა, რომელიც უფრო მეტ მაგისტრანტს მისცემს საშუალებას ჩაერთონ კვლევით საქმიანობაში, უნივერსიტეტის სასწავლო პერსონალთან ერთად, რაც შექმნის პირობებს კვლევის კომპეტენციის განვითარებისთვის, უნივერსიტეტის კვლევით საქმიანობაში ახალი ტალანტების მოზიდვისთვის;
- სასურველია დაიგეგმოს და მოტივაცია მიეცეს პერსონალს, რომ აქტიურად იმუშაონ კვლევებზე მოგზაურობის, ტურიზმისა და დასვენების სფეროს მიმართულებით, რათა შეიქმნას შესაბამისი სამეცნიერო ნაშრომები და შესაძლებელი იყოს კვლევაზე დაფუძნებული საერთაშორისო თანამშრომლობის განხორციელება;
- სამომავლოდ, პროგრამის განვითარების მიზნით, სასურველია ტურიზმისა და მასპინძლობის ლაბორატორიის შექმნაზე დაფიქრება, რაც შეიძლება სასარგებლო იყოს ტურიზმისა და მასპინძლობის სტარტაპების, ტურიზმის კვლევის, სექტორში ტექნოლოგიების გამოყენების ხელშეწყობისთვის;
- სასურველია, სასწავლო პროგრამის გამდიდრება ტურიზმისა და მასპინძლობის დაჯავშნის სისტემ(ებ)ის სასწავლო პროგრამული უზრუნველყოფით;
- სასურველია გათვალისწინებულ იქნეს აკადემიური პერსონალის სამოტივაციო სისტემა, რომელიც გაზრდის სამეცნიერო პროდუქტიულობას მოგზაურობის, ტურიზმისა და დასვენების სფეროში.

17:17 საათზე საბჭოს სხდომა დატოვა თამარ ზარანდიამ.

4. მეოთხე საკითხი : ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები International Relations
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	პირობით აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	20 ივლისი 2021 წ. გადაწყვეტილება #726261
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი

7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი Bachelor of International Relations
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები, 0312
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ილია ჭავჭავაძის 53 ა, ქ. თბილისი, 0179, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის წერილობითი პოზიცია, სადაც იგი განმარტავდა, რომ „უმაღლესი სასწავლებლის მიერ წარდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფმა (იხ. დასკვნა) მიიღო პირველი შთაბეჭდილება სამაგისტრო პროგრამაზე. პანელის წინასწარ სხდომაზე ეს შეხედულებები გამოითქვა და მოკლედ განიხილეს. 2023 წლის 19 ივნისს ადგილზე ვიზიტის დროს ყველა საკითხი საფუძვლიანად იქნა განხილული უნივერსიტეტის სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან.
ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო ერთსულოვანი გადაწყვეტილება SANGU-ში „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ. აღმოჩნდა, რომ აკრედიტაციის პირველი და მესამე სტანდარტი

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო სრულად შეესაბამება მე-2, მე-4 და მე-5 სტანდარტები.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა 14 რეკომენდაცია და 12 რჩევა.
დაწესებულებამ დეტალური კომენტარი გააკეთა მიმოხილვის პანელის კრიტიკულ შენიშვნებზე. პუნქტები. თუმცა, ვინაიდან ღონისძიებები ჯერ კიდევ გასატარებელია, ზოგადი შეფასება, რეკომენდაციები და რჩევები უცვლელი დარჩა.
პროგრამას, რა თქმა უნდა, აქვს დიდი პოტენციალი, რომელიც ამჟამად ჯერ კიდევ არ არის სრულად განვითარებული უნივერსიტეტის მიერ. თუმცა, საერთაშორისო ურთიერთობების აქტუალობა და უნივერსიტეტის უკვე არსებული ქსელი საფუძვლიანი წინაპირობაა მომავალში პროგრამის გაღრმავებისა და წარმატების მისაღწევად“.
ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სასწავლო კურსი „ციფრული დიპლომატია“ ახლად შემუშავებული კურსია და ბუნებრივია, რომ წარმოდგენილი სილაბუსი კიდევ საჭიროებს განვითარებას. ვინაიდან ქართულ ენაზე ამ ეტაპისათვის მასალები ფაქტიურად არ არსებობს, კურსის ლექტორს უწევს მისი თარგმნა და მომზადება. იგი ეცნობა და სწავლობს წამყვანი უნივერსიტეტებისა და ამ დარგის ექსპერტების შრომებს. ასევე, უნდა აღინიშნოს, უნივერსიტეტი გახლავთ პირველი სასწავლებელი, რომელიც საქართველოში ამ კურსს დანერგავს სასწავლო პროგრამაში.
რაც შეეხება „უსაფრთხოების კვლევების“ განვითარებას, უნდა აღინიშნოს, რომ უსაფრთხოების კვლევების მიმართულებით პროგრამაში წარმოდგენილია შემდეგი სასწავლო კურსები: ეროვნული უსაფრთხოება და დაზვერვა, აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის სპეცსამსახურები, საერთაშორისო ტერორიზმი, ნატო-ს როლი მსოფლიო პოლიტიკაში. გარდა ამისა, დაწესებულება გეგმავს, რომ ყოველწლიურად, გაზაფხულის სემესტრში, გამოაცხადოს სტუდენტთა მიღება საზაფხულო სკოლაში: „გლობალური უსაფრთხოება“. ზაფხულის სკოლის ფარგლებში მონაწილეები გაივლიან გაერო-ს სხვადასხვა ოფისისა და დიდი ბრიტანეთის კონტრტერორისტული ცენტრის მიერ შემუშავებულ კურსებს უსაფრთხოებისა და კონტრტერორისტული საკითხების შესახებ. კურსები მოიცავს: სიმულაციებს, ვიდეო ლექციებს, ტესტებს, ქვიზებს და შესაბამის საკითხავ მასალას. კურსების წარმატებით დასრულების შემდეგ სტუდენტები აიღებენ აღნიშნული ორგანიზაციების ელექტრონულ სერტიფიკატებს. კურსების ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: კიბერ დიპლომატია, კონტრტერორიზმი, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ფორმები, ანტიკორუფცია, განიარაღების საკითხები. ზაფხულის სკოლის მონაწილეები შეირჩევიან CV-ების და გასაუბრების საფუძველზე. ზაფხულის სკოლის

ხანგრძლივობა: ერთი თვე. ზაფხულის სკოლაში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს ნებისმიერი ავტორიზებული უმაღლესი სასწავლებლის სოციალურ, პოლიტიკურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებს. ზაფხულის სკოლა მოიცავს შემდეგ აქტივობებს: გლობალური უსაფრთხოების შესახებ დისკუსია / დებატები; გაეროს სპეციალურ კურსებზე სტუდენტების ჩართულობის სწავლება. ზაფხულის სკოლის დასრულების შემდეგ სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს პრეზენტაცია (CASE Study) ან/და ანგარიში, რომელშიც საუბარი იქნება გავლილ კურსებზე და საკითხზე.

რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, მათი განმარტებით საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის მომზადების დროს, საქართველოს კანონმდებლობის, კერძოდ, აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, შეისწავლეს როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო პრაქტიკა. კერძოდ, გაეცნენ ამჟამად საქართველოში მოქმედი საერთაშორისო ურთიერთობების 22 საბაკალავრო პროგრამას. მათ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ აღნიშნული 22 პროგრამიდან მხოლოდ 9 პროგრამას აქვს ცალკე გამოყოფილი პრაქტიკა კრედიტის მინიჭებით. გამოდის, რომ საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამების უმეტესობას, ანუ 60%- ს პროგრამაში არ აქვს პრაქტიკული კომპონენტი ECTS კრედიტების სახით გაწერილი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის შემუშავების დროს გაითვალისწინეს ბრიტანეთის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს დარგობრივი მახასიათებელიც, სადაც მითითებულია, რომ პოლიტიკური მეცნიერებისა და საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის განმახორციელებლებს შეუძლიათ სტუდენტებს პრაქტიკული უნარები გამოუმუშავონ სამი სხვადასხვა ფორმატის გამოყენებით: ხანმოკლე, ხანგრძლივი და მთელი წლის მანძილზე. აქვე უნდა განიმარტოს, რომ პრაქტიკა როგორც დამოუკიდებელი კომპონენტი, სტუდენტისთვის პრაქტიკული უნარების განსავითარებლად არ არის სავალდებულო. აგრეთვე, პროგრამის ფარგლებში რამდენიმე სილაბუსში „ჩაშენებულია“ პრაქტიკა, როგორც სასწავლო კურსის შემადგენელი ერთ-ერთი კომპონენტი. კერძოდ, ეს სასწავლო კურსებია: საქართველოს საგარეო პოლიტიკა, პოლიტიკური იდეოლოგიები, პოლიტიკის მეცნიერების შესავალი, პოლიტიკური კულტურა, ეროვნული უსაფრთხოება და დაზვერვა. მათი განმარტებით, აღნიშნულ საგნებში წარმოდგენილი ხანმოკლე პრაქტიკა, ე.წ. “field trips”-ს, დარგის სპეციალისტებთან შეხვედრები, მათ მიერ მიცემული დავალებების შესრულება და სხვა აქტივობები უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების განვითარებას, როგორც საქართველოს უნივერსიტეტების კვალობაზე, ისე საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით.

ამასთან, ვინაიდან საბაკალავრო პროგრამაზე სწავლების ენა არის ქართული, ლექტორები არიან ვალდებული, რომ სტუდენტებს სავალდებულო სასწავლო მასალები შესთავაზონ ქართულად. ეს არის მოთხოვნა, რომელსაც ასრულებს დაწესებულება სტუდენტების უფლებების დასაცავად. შესაბამისად, ვერ მოხდება სავალდებულო ლიტერატურაში ინგლისურენოვანი ლიტერატურის ჩამატება, მაგრამ აუცილებლად გამდიდრდება ინგლისურენოვანი ლიტერატურით დამხმარე სასწავლო მასალები. აგრეთვე, ინგლისურის ცოდნის გაუმჯობესებას ემსახურება შემდეგი ინგლისურენოვანი სასწავლო კურსები: Foreign Policy of the European Union; International Migration; National Security and Intelligence.

რეკომენდაციაში მითითებული კურსების (საერთაშორისო ტერორიზმი, საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია, საერთაშორისო ურთიერთობების თეორია, შესავალი პოლიტიკის მეცნიერებაში) ძირითად ლიტერატურაში მითითებულია ქართულ ენაზე არსებული სახელმძღვანელოების ბოლო გამოცემები, ვინაიდან პროგრამა ქართულენოვანია. საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის კურსში გათვალისწინებულია სახელმძღვანელოები, რომელთა გამოცემის მერე სხვა სახელმძღვანელო ქართულ ენაზე არ გამოსულა მაგალითად, პატარაია დ., საერთაშორისო ურთიერთობები. „საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის“ კურსებში ძირითად ლიტერატურაში მითითებულია და გამოიყენება შედარებით ახალი გამოცემული სახელმძღვანელოები, მაგალითად: თ. შარაშენიძე, დიპლომატიის ისტორია 1920-1939. „შედარებითი პოლიტიკის“ კურსში, ქართულ ენაზე

საერთოდ არაა სახელმძღვანელო „Introduction to Political Science” - ამ საგანში ქართულ ენაზე არ არსებობს ანდრიუ ჰეივუდის 2008 წელს გამოცემული თარგმანის გარდა სხვა სახელმძღვანელო. „International Law“ ამ საგანში ქართულ ენაზე ლევან ალექსიძის „საერთაშორისო სამართლის“ გარდა სახელმძღვანელო არაა. არის „საერთაშორისო თავდაცვითი სამართალი“, რომელი 2022 წელსაა გამოცემული და სხვა თემატური მასალა. მათ მთავარ სახელმძღვანელოდ განსაზღვრა არ იქნება რელევანტური, მაგრამ დამატებით ლიტერატურაში დაემატება ინგლისურენოვანი გამოცემები. Diplomatic Etiquette and the art of Negotiations: ამ საგნის შემთხვევაშიც იგივე მდგომარეობაა; მაგალითად, ქართულად ითარგმნა ალან პიზის „სხეული ენა“, რომელიც 2016 წელსაა გამოცემული, მაგრამ ეს წიგნი მოიცავს მხოლოდ ნაწილს დიპლომატიური ეტიკეტისას და სახელმძღვანელოდ ვერ გამოდგება. დაწესებულება იზიარებს რჩევას დამატებით ლიტერატურაში უახლესი ინგლისურენოვანი გამოცემების შეტანის შესახებ.

მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამაში წარმოდგენილია დოკუმენტი - საბაკალავრო ნაშრომის ინსტრუქცია, რომელიც თან ახლავს სააკრედიტაციო დოკუმენტაციას და მასში გათვალისწინებულია ის კომპონენტები, რომლებიც აუცილებელია კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისათვის. კერძოდ, ინსტრუქციაში მოცემულია საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: ხელმძღვანელის შეფასება - ა) თემის შერჩევის მოტივაცია; ბიბლიოგრაფიის შედგენა; ნაშრომის გეგმა - 5 ქულა; ბ) შერჩეული ბიბლიოგრაფიის შესწავლა და მოკლე ანოტაციების შედგენა - მაქსიმუმ 10 ქულა; გ) ნაშრომის სტრუქტურა, შინაარსი, კვლევის მეთოდიკა - მაქსიმუმ 15 ქულა.

მეცხრე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულება იზიარებს მოცემულ რეკომენდაციას. საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამაში გათვალისწინებულია ინტერნაციონალიზაციის შემდეგი ასპექტები: ინგლისური ენის 30 კრედიტიანი სავალდებულო სასწავლო კურსი; უცხოელი კოლეგების საჯარო ლექციები; პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პუბლიკაციები საზღვარგარეთ; პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მონაწილეობა საერთაშორისო ღონისძიებებში; პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის სამუშაო ვიზიტები უცხოეთში; თანამშრომლობა უცხოელ და უცხოეთში მოღვაწე დარგის სპეციალისტებთან; პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული ინგლისურენოვანი სასწავლო კურსები და სხვ. ზემოთქმული ცხადყოფს, რომ პროგრამაში წარმოდგენილია ინტერნაციონალიზაციის ასპექტები, თუმცა ჯერჯერობით არ არის გაცვლითი პროგრამები, რაც აღნიშნულია კიდეც თვითშეფასების ანგარიშში როგორც გასაუმჯობესებელი მხარე. ამდენად, დაწესებულება ეთანხმება ექსპერტების რეკომენდაციის იმ ნაწილს, რომელიც შეეხება გაცვლით პროგრამებს, რომ რეკომენდებულია გაცვლითი პროგრამების შემუშავება და ამოქმედება.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებულ რეკომენდაციებზე და განმარტა, რომ თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ მიმდინარე პერიოდისთვის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 19 პირი, რომელთაგან 6 არის აკადემიური პერსონალი, ხოლო 13 მოწვეული სპეციალისტი. დაწესებულება გეგმავს საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების აკადემიური პერსონალის რაოდენობის ზრდას, რის შედეგადაც მოხდება სასწავლო დატვირთვის უკეთ გადანაწილება აკადემიურ პერსონალს შორის.

მეხუთე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საერთაშორისო ურთიერთობების პაკეტში წარმოდგენილია ხუთ სხვადასხვა დაწესებულებასთან გაფორმებული მემორანდუმი,

რაც შეეხება მეოთხე რეკომენდაციას, დაწესებულების მიერ მომზადებული შრომის ბაზრის კვლევა დაეფუძნა სხვადასხვა დაინტერესებული მხარის, მათ შორის საქართველოში აშშ საელჩოს და საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების გამოკითხვის შედეგებს. ამდენად, არასწორია იმის თქმა, რომ მიზნობრივი აუდიტორიის მოსაზრებები გათვალისწინებული არ ყოფილა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ აღნიშნა, რომ პროგრამაში წარმოდგენილია სასწავლო კურსების ერთგვაროვანი შეფასების მეთოდები, რაც აღნიშნულია ექსპერტების მიერ რჩევის სახით, გამომდინარე აქედან საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რატომ განისაზღვრა საკითხი რჩევის და არა რეკომენდაციის სახით. რაც შეეხება პრაქტიკას, სილაბუსში მოცემულია, რომ პრაქტიკა ხორციელდება ლონდონის უნივერსიტეტის დისტანციური სწავლების პორტალზე, თუმცა არსად არ იყო მოცემული დოკუმენტი, რომელიც მოცემულ უნივერსიტეტთან თანამშრომლობას ან ამ პორტალზე წვდომას ადასტურებს. გამომდინარე აქედან საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულებას საკითხის დაზუსტებისკენ. ასევე, ამავე კურსის სილაბუსში მოცემულია პრაქტიკული მეცადინეობა, შესაბამისად მნიშვნელოვანია დაზუსტდეს თუ რას გულისხმობს აღნიშნული. ამასთან დასაზუსტებელია თუ რას გულისხმობს სასწავლო კურსებში ჩაშენებული პრაქტიკის კომპონენტი. რაც შეეხება უსაფრთხოების კვლევების განვითარებას, დაწესებულებამ აღნიშნა, რომ აქტიურად იგეგმება საზაფხულო სკოლის ორგანიზება, თუმცა საინტერესოა თუ რა გზით გეგმავს დაწესებულება აღნიშნულს, იქნება ეს უსდ ხარჯით თუ რაიმე საერთაშორისო პროექტის მოძიების გზით.
საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ იზიარებს ექსპერტთა რეკომენდაციას ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებას მაქსიმალურად აქვს გამოყენებული მოცემული მიმართულებით დღეს არსებული ყველა რესურსი, ზოგიერთი სასწავლო კურსის თემატიკა მოითხოვს ლიტერატურის გადამუშავებას დროისა და გამოწვევების შესაბამისად. მნიშვნელოვანია ასევე აღინიშნოს საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი, რომელიც არ იყო მოცემული დოკუმენტებში, წარმოდგენილი იყო მხოლოდ საბაკალავრო ნაშრომის ინსტრუქცია. გამომდინარე აქედან, საბჭოს წევრმა მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფს დაეზუსტებინათ თუ რა იგულისხმებოდა მათ მიერ გაკეთებულ მითითებაში კვლევითი კომპონენტის გაძლიერებასთან დაკავშირებით.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ქუთათელაძემ აღნიშნა, რომ დასკვნის 21-ე გვერდზე მოცემულია, რომ უნივერისტეტის მიერ წარმოდგენილ საბაკალავრო ნაშრომებში არ არის წარმოჩენილი მეთოდოლოგიის ნაწილი, საკვლევი საკითხი ან ჰიპოთეზა და ასე შემდეგ. შემდგომ დასკვნაში კი მოცემულია, რომ კარგი იქნებ გაიწეროს გზამკვლევი თუ როგორ უნდა დაიწეროს საბაკალავრო ნაშრომი და რომელი კომპონენტები უნდა იყოს გათვალისწინებული. კომპონენტების ჩამონათვალში ექსპერტებს მითითებული აქვთ სადისერტაციო ნაშრომი, შესაბამისად საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რამდენად შეესაბამება მოცემული ჩანაწერი პროგრამის საფეხურს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა განმარტა, რომ დასკვნა ეფუძნება მოთხოვნილი საბაკალავრო ნაშრომების ანალიზს. ექსპერტებმა განიხილეს შვიდი საბაკალავრო ნაშრომი, რომლებიც იყო ესეს ხასიათის ნაშრომი და კვლევა ნაკლებად ჩანდა. გამომდინარე აქედან, განისაზღვრა რეკომენდაცია, რომ მნიშვნელოვანია დაზუსტდეს თუ რა არის საბაკალავრო ნაშრომი, კვლევითი კითხვა, როგორი უნდა იყოს მეთოდოლოგია და ასე შემდეგ. მოცემული საკითხები ნაშრომებში არ იყო წარმოდგენილი. გარდა ამისა, დაწესებულებას აქვს პლაგიატის პროგრამა, რომლის შესახებაც სტუდენტებსაც აქვთ სრული ინფორმაცია.
რაც შეეხება შეფასების მეთოდების ერთფეროვნებას, როდესაც ექსპერტებმა აღნიშნული იკითხეს ვიზიტის დროს მათ განემარტათ, რომ აღნიშნული არის უნივერსიტეტის საერთო პოლიტიკა. გამომდინარე აქედან საკითხი განისაზღვრა რჩევის სახით, ვინაიდან არ მომხდარიყო უნივერსიტეტის ავტონომიურობის შეზღუდვა.
ექსპერტმა ასევე განმარტა, რომ ჩანაწერი სადოქტორო ნაშრომთან დაკავშირებით წარმოადგენს თარგმანის ხარვეზს და მითითებული უნდა იყოს საბაკალავრო ნაშრომი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

პრაქტიკასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ბრიტანეთის უნივერისტეტის ონლაინ კურსი მოცემულია მხოლოდ ზაფხულის სკოლაში, აღნიშნული არ არის ცალკე ჩაშენებული, შესაბამისად არ არის მოცემული სილაბუსი. ამასთან, პრაქტიკის კომპონენტების საკითხებთან ერთად მითითებულია სილაბუსებში.
რაც შეეხება საზაფხულო სკოლას, დაწესებულებას გაწერილი აქვს ბიუჯეტი და ყველაფერს აკეთებს საკუთარი რესურსებით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:58
დასრულების დრო: 18:19

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება. კერძოდ, 2.1 და 2.2 კომპონენტები ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, რის შედეგადაც მეორე სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით - 31/12/2028, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის "ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2028 წლის 31 დეკემბერამდე, ერთ წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რჩევები და რეკომენდაციები;
რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია შრომის ბაზრის საჭიროებებისა და მოთხოვნების ღრმა და ყოვლისმომცველი შეფასება, უფრო ფართო ხარისხობრივი კომპონენტით და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მომუშავე მიზნობრივი აუდიტორიით.
- რეკომენდებულია პოტენციურ დამსაქმებლებთან (საერთაშორისო ორგანიზაციებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და საჯარო სექტორთან) მუდმივი კომუნიკაციის მექანიზმის ჩამოყალიბება, რომელიც განხორციელდება სულ მცირე წელიწადში ერთხელ;

- დარგის სპეციფიკიდან და შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სტუდენტების პრაქტიკული, წერითი და ვერბალური უნარ-ჩვევებით აღჭურვა და შესაბამისი აქტივობების განხორციელება ამ კომპონენტების გასაძლიერებლად, სასწავლო პროგრამაში მათი ინტეგრირებით და თანამედროვე მეთოდოლოგიების გამოყენებით;
- რეკომენდებულია „ციფრული დიპლომატიის“ და „უსაფრთხოების კვლევების“ სპეციალობების განვითარება, რადგან პროგრამა ძირითადად ორიენტირებულია საერთაშორისო ურთიერთობების კუთხით ისტორიულ ცოდნასა და საბაზისო კომპეტენციებზე;
- რეკომენდებულია ლიტერატურის განახლება შემდეგ კურსებში: საერთაშორისო ტერორიზმი, საერთაშორისო ურთიერთობების თეორია, საერთაშორისო სამართალი, შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებაში, დიპლომატიური ეტიკეტი და მოლაპარაკებების ხელოვნება;
- რეკომენდებულია უცხო ენის კომპეტენციის გაძლიერება კურსებში ინგლისურენოვანი ლიტერატურის დამატებით;
- რეკომენდებულია შესაბამისი საკვანძო ლიტერატურის მიწოდება სპეციალობის კურსებზე;
- რეკომენდებულია შემუშავდეს საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი;
- რეკომენდებულია სტაჟირების/პრაქტიკის ფორმალური კომპონენტის შექმნა და ECTS - ის მინიჭება (სასურველია 5-დან 6-მდე), ასევე მისი შეფასების მექანიზმის ჩამოყალიბება;
- რეკომენდებულია კურსის სპეციფიკის შესაბამისად გამრავალფეროვნდეს შეფასების მეთოდები;
- პროგრამამ უნდა გააძლიეროს ინტერნაციონალიზაციის ასპექტი და სტუდენტებს მისცეს მეტი საერთაშორისო გამოცდილება და შესაძლებლობები, როგორიცაა სხვადასხვა გაცვლითი პროგრამები, კონფერენციები და პროექტები;
- პროგრამას სჭირდება ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან (ინსტიტუციები, ორგანიზაციები) დაკავშირება, რათა სტუდენტებს მისცეს სხვადასხვა შესაძლებლობები ადგილობრივ დონეზეც;
- საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამამ პრიორიტეტული უნდა გახადოს აკადემიური ხარისხისა და პოლიტიკური მეცნიერებების დარგსა და მის ქვედარგებში, კერძოდ, საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში შესაბამისი კვლევითი ინტერესების მქონე აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა;
- აკადემიური პერსონალის სასწავლო დატვირთვა უფრო თანაბრად უნდა გადანაწილდეს აკადემიურ პერსონალს შორის;
- უზრუნველყოფილი უნდა იყოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ბალანსი, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის ამაღლებას;

რჩევები:

- სწავლის შედეგების მისაღწევად სასურველია ჩინური ენის საათებისა და კრედიტების სათანადოდ განსაზღვრა/გაანგარიშება;
- სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა უნდა მოიცავდეს უფრო თანამედროვე საერთაშორისო ლიტერატურას, რადგან ამჟამად ძირითადად გამოიყენება კლასიკური ტექსტები;
- სასურველია დაემატოს 1921 წლიდან 1990-იან წლებამდე პერიოდში ქართული დიპლომატიის ისტორიის საკითხები;
- სასურველია უცხოელი სტუდენტების პროგრამაზე ჩარიცხვისთვის საჭირო შეფასების პროცედურის დეტალურად აღმწერი დოკუმენტის უზრუნველყოფა;
- უსდ-მ უნდა აღწეროს ინგლისური ენის დონის განსაზღვრისა და სტუდენტების

- სხვადასხვა ჯგუფად დაყოფის პროცედურა;
- სასურველია ეკონომიკური საგნების კომპონენტის გაძლიერება, რათა შეესაბამებოდეს მოცემული სფეროს იმავე პროგრამებს და სტუდენტებს განუვითარდეთ შესაბამისი უნარები აღნიშნულ სფეროში;
- სასურველია შეფასების მეთოდების გამრავალფეროვნება კურსის სპეციფიკის შესაბამისად;
- სასურველია უმაღლესმა სასწავლებელმა მეტი დარგობრივი მემორანდუმი გააფორმოს და პარტნიორობა დაამყაროს საქართველოში მოქმედ შესაბამის არასამთავრობო ორგანიზაციებთან, კვლევით ცენტრებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;
- აკადემიური პერსონალისთვის პრიორიტეტული უნდა იყოს საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნება და ინგლისური ენის ცოდნის გაუმჯობესება;
- ექსპერტთა გუნდი მიიჩნევს, რომ აკადემიური პერსონალის საერთაშორისო პროფილის გაძლიერება ხელს შეუწყობს პროგრამის მდგრადობას და სხვა უნივერსიტეტებიდან მიღებული საუკეთესო პრაქტიკის დანერგვას;
- ბიბლიოთეკის ელექტრონული სისტემის (KOHA) განახლება უნდა დასრულდეს, რადგან აკადემიური წყაროების (წიგნები, წიგნის თავები, აკადემიური ნაშრომები) ძიება გართულდა ინსტალაციის პროცესის გამო;
- არსებული ბიუჯეტი მხოლოდ სტუდენტური თვითმმართველობის პროექტებისთვის არის განკუთვნილი და არ ითვალისწინებს სტუდენტების დამოუკიდებელი პროექტების დაფინანსებას. კარგი იქნება, თუკი უნივერსიტეტს ექნება სტუდენტების დამოუკიდებელი პროექტებისა და აქტივობების ფინანსური მხარდაჭერა;

5. მეხუთე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მასალათმცოდნეობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მასალათმცოდნეობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2021 წლის 15 ივლისის № 714481
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VIII
9	კვალიფიკაციის დასახელება	მასალათამცოდნეობის დოქტორი

10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0719 ინჟინერია და საინჟინრო საქმე – არაკლასიფიცირებული
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	55
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას ქ., N 69, თბილისი, სასწავლო კორპუსი № 10, 0171, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

თვითაცილება განაცხადა- ქეთევან ქუთათელაძემ და მარინე მაისურაძემ;
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, საბჭოს რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის და სხვა წარმოდგენილი დოკუმენტაციის დამუშავებისას მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე დაადგინა, რომ წარმოდგენილი პროგრამა შეესაბამება მასში მითითებულ სწავლის დეტალური სფეროს ინჟინერია და საინჟინრო საქმე, არაკლასიფიცირებული - 0719 სწავლის სფეროს და ანიჭებს კვალიფიკაციას - „მასალათმცოდნეობის დოქტორი“.
პროგრამა შესაბამისობაშია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებთან. პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები შეესაბამება სწავლის მეორე საფეხურისთვის გათვალისწინებულ ზოგადი და ძირითადი სპეციალობის შესაბამისი დისციპლინების სპეციფიკური სასწავლო შედეგების სტანდარტებს. პროგრამის სტრუქტურა, სასწავლო კურსების შინაარსი, სწავლისა და სწავლების მეთოდოლოგია უზრუნველყოფს გაცხადებული სასწავლო შედეგების მიღწევას. პროგრამაში ჩართულია

კვალიფიცირებული აკადემიური პერსონალი. ხელმისაწვდომია სასწავლო მასალა. შემუშავებულია მექანიზმები სწავლის ხარისხის უზრუნველსაყოფად.
უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულების მიერ სრულიად მოხდა რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინება და შესაბამისი ცვლილებების გატარება. მე-14 რეკომენდაცია ექსპერტთა შეფასებით ნაწილობრივ იქნა შესრულებული, ვინაიდან საანგარიშო პერიოდში პროგრამაზე ირიცხება ერთი დოქტორანტი.
ამასთან, რჩევის სახით განისაზღვრა, რომ სასურველია შეიცვალოს პროგრამის მიზნის ფორმულირება - „შეასწავლოს მასალათმცოდნეობაში არსებული პრობლემების ამოცნობის და კრიტიკული ანალიზის უნარი“ და ჩამოყალიბდეს, მაგალითად, ასე - „განუვითაროს მასალათმცოდნეობაში არსებული პრობლემების ამოცნობის და კრიტიკული ანალიზის უნარი“.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მასალათმცოდნეობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაცია:
„სასწავლო კურსების სილაბუსებში, რომელთა სწავლის შედეგები გადის პროგრამის სწავლის მეცხრე შედეგზე აისახოს ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა“.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხდა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული შეფასებისთვის და რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საქმე ეხება პროგრამის დანართს და ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ეს უნარ-ჩვევები გათვალისწინებულია კვლევით კომპონენტში, სადაც მთლიანად აისახება დამოუკიდებლად შესრულებული სამუშაოს შედეგად მათი გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების უნარი.
ცენტრის წარმომადგენელმა, ლალი ოდიშვილმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის № 714481 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის შესწორების შესახებ, კერძოდ გადაწყვეტილების დანართ №1-ში კვალიფიკაცია მითითებულია მასალათმცოდნეობის დოქტორი, ხოლო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით უნდა იყოს “მასალათამცოდნეობის დოქტორი”.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:30
დასრულების დრო: 18:34
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მასალათმცოდნეობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 - ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მასალათმცოდნეობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

6. მეექვსე საკითხი : შპს - ევროპის უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №461172, 19.05.2021
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0141, გურამიშვილის გამზირი №76

15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ 31 მაისის 2023 წლის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანების შესაბამისად შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც განახორციელა გეგმიური მონიტორინგი დაწესებულებაში. ევროპის უნივერსიტეტმა წარმოადგინა დეტალური ანალიზი „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ დადგენილი რეკომენდაციების და რჩევების შესრულების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმება განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის სტანდარტების და მათ მერ ხუთივე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაში მოთხოვნებთან, ამავე დროს გაცემულია რამდენიმე რჩევა, რომელიც ხელს შეუწყობს საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის განვითარებას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული შეფასებისთვის და აღნიშნა, რომ დაწესებულება ეთანხმება ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რჩევებს.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:39
დასრულების დრო: 18:42
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ევროპის უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 - ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს ევროპის უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვა დასრულდა 18:45 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის მდივანი
ჭელიძე გურანდა



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს წევრი
სხდომის მდივანი
ქუთათელაძე ქეთევან



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი